საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მსხალიჭასებრნი

მსხალიჭასებრნი (Pyrolaceae), ორლებნიან მცენარეთა ოჯახი. მარადმწვანე მრავალწლოვანი ფესურიანი ბალახებია. აქვთ ყვავილედებში თავმოყრილი, იშვიათად ეული ორსქესიანი ყვავილები და მრავალთესლიანი კოლოფა ნაყოფი. ოჯახში 4–5 გვარის 45-მდე სახეობაა. გავრცელებულია ჩრდ. ზომიერ და ცივ სარტყლებში; სამხრ-ით მექსიკამდე და კარიბის ზღვის კუნძულებამდე აღწევენ. საქართველოში იზრდება ამ ოჯახის 6 სახეობა.